Student Journal of Social Sciences

სტუდენტთა ჟურნალი

სოციალურ მეცნიერებებში

№23, იანვარი, 2023

დიასახლისების ცხოვრების წესის შესწავლა შინ შრომისა და ავტონომიური აქტივობების მაგალითზე

ნაზი მწარიაშვილი

ელენე ნამორაძე

სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამა

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

E-mail: nazi.mtsariashvili836@sps.tsu.edu.ge

E-mail: elene.namoradze648@sps.tsu.edu.ge

აბსტრაქტი

დღესდღეობით ანაზღაურებადი და სტანდარტული შრომითი ტიპების მიღმა არსებობს უამრავი არაფორმალური და არასტანდარტული შრომის ტიპი, მათ შორის, ზოგიერთი მათგანი გენდერულ როლებსაც უკავშირდება. ანდრე გორცი გვთავაზობს შრომის ტიპების კლასიფიკაციას, მათ შორის კი გამოყოფს შინ შრომისა და ავტონომიური აქტივობების სახეებს. ფართოდ გავრცელებული პრაქტიკის მიხედვით, შინ შრომაში ძირითადად ჩართულნი არიან ქალები და მათი საქმიანობა მოიცავს ოჯახის წევრებზე ზრუნვასა და სხვადასხვა საოჯახო საქმის შესრულებას, როგორებიცაა საჭმლის მომზადება, სახლის დასუფთავება, შვილებზე ზრუნვა და სხვა. საშინაო შრომაში ჩართული ადამიანების მოწყვლადობას განაპირობებს შემოსავალის არარსებობა, დასვენების დღის არქონა, ხანგრძლივი სამუშაო საათები და კიდევ მრავალი ფაქტორი. რაც შეეხება ავტონომიურ აქტივობებს, ის მოიცავს თავისუფალი დროის სურვილისამებრ განკარგვას. თავისუფალი დროის ქონისა და ათვისების თვალსაზრისით, განსაკუთრებით მოწყვლად ჯგუფებს წარმოადგენენ უმუშევარი დედები. სწორედ ამიტომ, ჩვენი მიზანი იყო თბილისში მცხოვრები ქორწინებაში მყოფი უმუშევარი დედების ცხოვრების წესის შესწავლა შინ შრომისა და ავტონომიური აქტივობების განხორციელების თავისებურების მაგალითზე. მოცემული კვლევის ფარგლებში შევისწავლეთ, თუ როგორ აღიქვამენ დედები შინ შრომისა და ავტონომიური აქტივობების ფენომენს, ქალსა და კაცს შორის საოჯახო საქმიანობების განაწილებას, ოჯახის სხვა წევრების ჩართულობას შინ შრომასა და ბავშვის მოვლაში; როგორ აყალიბებენ ყოველდღიურად მათ განრიგს და რომელი ფაქტორები ახდენს გავლენას ამ პროცესზე; როგორ განკარგავენ საოჯახო ბიუჯეტს; რა აქტივობებს ახორციელებენ შვილებზე ზრუნვის პროცესში; როგორია მათი აღქმა თავისუფალი დროისა და მისი გამოყენების მიმართ და როგორია დედების დამოკიდებულება დასაქმების მიმართ.

კვლევის ფარგლებში ჩატარდა 10 ბიოგრაფიულ-ნარატიული ინტერვიუ. მოპოვებული მონაცემების ანალიზი განხორციელდა თემატური და სტრუქტურული კონტენტანალიზით. გამოვლინდა ის მიგნებები, რომლებიც დამახასიათებელია უმუშევარი დედების შინ შრომისა და ავტონომიური აქტივობების თავისებურებებისთვის.

საკვანძო სიტყვები: *უმუშევარი დედები, ცხოვრების წესი, შინ შრომა, ავტონომიური აქტივობები.*

შესავალი

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, საუკუნეების მიჯნაზე, ტრანზიციის პერიოდში, საქართველო აღმოჩნდა საკმაოდ არასტაბილური სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის წინაშე, რაც ნეგატიურად აისახა შრომის ბაზარზე. ეს ვითარება კი უფრო მწვავე აღმოჩნდა ქალებისთვის. მაგალითად, 2000 წლის მონაცემებით, დაუსაქმებელ ადამიანთა უმრავლესობა (55%) იყო ქალი, რამაც, თავის მხრივ, განაპირობა ის, რომ მათი ძირითადი საქმიანობის სფერო გახდა შინ შრომა *(ჯონსი, 2013 ციტირებულია გოგბერაშვილი & კარაპეტიანი, 2019).* ანდრე გორცი გვთავაზობს შრომის ტიპების კლასიფიკაციას და გამოყოფს შემდეგ სამ სახეს: 1. ,,შრომა'' - არის იმგვარი ტიპის აქტივობა, რომელიც სრულდება დამქირავებლისთვის და ანაზღაურებადია; 2. ,,საშინაო შრომა და საკუთარი თავისთვის შესრულებული სამუშაო'' - რომელიც მოიცავს საოჯახო შრომას, მაგალითად, სახლის დალაგებას, დასუფთავებას, ოჯახის წევრებზე ზრუნვას და სხვა 3. ,,ავტონომიური აქტივობა'' - მოიცავს ადამიანის პირადი სურვილებიდან და ინტერესებიდან გამომდინარე შესრულებულ საქმიანობას (Gorz, 1999). თავის მხრივ, დელფი და ლეონარდი აკონკრეტებენ საოჯახო შრომას შიდასამეურნეო და სახლის საქმეებად ისინი აღნიშნავენ, რომ თუ შიდასამეურნეო საქმიანობაში მთელი ოჯახია ჩართული, სახლის საქმის შესრულება მხოლოდ ქალის მოვალეობაა, თუმცა ეს ცნება ბოლომდე ვერ ამოწურავს ყველა იმ აქტივობას, რომელსაც ის ოჯახში ასრულებს, ამიტომაც ამ ავტორებს შემოაქვთ ტერმინი საშინაო შრომა (დელფი & ლეონარდი, 2016 ციტირებულია გოგბერაშვილი & კარაპეტიანი, 2019);. შინ შრომა არის ,,ინდივიდის აუნაზღაურებელი შრომა, რომელიც მოიცავს ოჯახის წევრების, ბავშვის, მეუღლის, სახლის, ეზოს მოვლას'' (საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, 2008). შინ შრომა კონკრეტულად გულისხმობს ისეთი ტიპის აქტივობებს, როგორებიცაა პროდუქტების მომარაგება, საჭმლის მომზადება, ინტერიერის დალაგება, სარეცხის დარეცხვა, ჭურჭლის დარეცხვა, ბაღის მოვლა და სხვა (United States Department of Labor , 2015).

გაეროს ქალთა ორგანიზაციის 2018 წლის კვლევის შედეგების თანახმად, პროდუქტიული ასაკის ყოველი მეოთხე ქართველი ქალი საკუთარ თავს დიასახლისად აიდენტიფიცირებს (გაეროს ქალთა ორგანიზაცია, 2018). შესაბამისად, ისეთი არასტანდარტული ტიპის აუნაზღაურებელი საქმიანობა, როგორიცაა შინ შრომა, საქართველოში ბევრი ქალის ძირითად სამუშაოს წარმოადგენს. საშუალოდ, კვირის განმავლობაში, ქალები მსგავსი ტიპის საოჯახო აქტივობებს უთმობენ 45 საათს, ხოლო კაცები, მიუხედავად იმისა, დასაქმებულნი არიან თუ არა, 15 საათს. ,,ქალების ეკონომიკური არააქტიურობის ძირითადი განმაპირობებელი ფაქტორი საზოგადოებაში შრომის გენდერული ნიშნით დაყოფაა'' (გაეროს ქალთა ორგანიზაცია, 2018). გოგონები ადრეული სოციალიზაციის ეტაპზევე ასრულებენ სახლის საქმეებს, რაც ქალურ საქმიანობად მიიჩნევა და ეს საფუძველს უქმნის ზრდასრულ ასაკშიც მსგავსი აქტივობების შესრულების გარდაუვალობას. შესაბამისად, ქართულ რეალობაში არსებობს საქმიანობები, რომლებიც გენდერული ფაქტორებიდან გამომდინარე, ქალს ან კაცს ექსკლუზიურად მიეწერება (გოგბერაშვილი & კარაპეტიანი, 2019). ეს ფენომენი მხოლოდ ქართული პრაქტიკისთვის არაა დამახასიათებელი. ამიტომაა, რომ ცნობილი სოციალური ფსიქოლოგის დევიდ მაიერსის თქმით, გენდერული სოციალიზაცია გოგონებს „ფესვებით“, ვაჟებს კი – „ფრთებით“ უზრუნველყოფს, რაც ქართულ რეალობასაც თვალსაჩინოდ აღწერს (წულაძე, სოციალიზაციის ზოგიერთი პრობლემა ქართული კულტურის კონტექსტში (ავტონომიურობა და სანქციები), 2003).

ქართველი ქალების შინ შრომის გამოცდილების მიღმა, ასევე საინტერესოა, მათი თავისუფალი დროის განკარგვა რა თავისებურებებით ხასიათდება. შესაბამისად, მნიშვნელოვანია გორცის მიერ გამოყოფილი ,,ავტონომიური აქტივობის'' ტიპის შესწავლაც, რომელიც მოიცავს თავისუფალი დროის სურვილისამებრ განკარგვას, მაგალითად, ისეთ აქტივობებს, როგორებიცაა კომუნიკაცია, კითხვა, რელაქსაცია და ფიქრი, სხვადასხვა სპორტულ აქტივობაში ჩართვა, ტელევიზორის ყურება და სხვა (United States Department of Labor , 2015). ამერიკელი ფემინისტი ნენსი ფრეიზერი აღნიშნავს, რომ გენდერული სამართლიანობის თვალსაზრისით, თავისუფალი დროის თანაბრად განაწილება მნიშვნელოვანი ფაქტორია, რამდენადაც ქალები საკმაოდ მძიმედ განიცდიან დროის დეფიციტს (ფრეიზერი, 2017). თავისუფალი დროის ქონისა და ათვისების თვალსაზრისით, განსაკუთრებით მოწყვლად ჯგუფს წარმოადგენენ უმუშევარი დედები, რადგან ბავშვების აღზრდას სწორედ დედები უთმობენ უმეტეს დროს, მამებთან შედარებით. კვლევაში ,,ქალთა დასაქმება, შრომა და შინშრომა" აღნიშნულია, რომ უმუშევარი ქალები იძულებულები არიან, გაღვიძებისთანავე ჩაერთონ შინ შრომის აქტივობებში, რომელთა წარმართვა მთელი დღის განმავლობაში გრძელდება. შესაბამისად, ქალებს იშვიათად აქვთ შესვენების შესაძლებლობა და თავისუფალ დროს, ძირითადად, შვილებთან ერთად სახლში ატარებენ. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით მოწყვლად ჯგუფს წარმოადგენენ სოფელში მცხოვრები დედები (შალვაშვილი, 2022).

სასოფლო დასახლებებისგან განსხვავებით, ურბანულ სივრცეში სახლის გარეთ თავისუფალი დროის ათვისების უფრო მრავალფეროვანი საშუალებები არსებობს, ამიტომ საინტერესოა, თბილისში მცხოვრები უმუშევარი დედები როგორ ახდენენ საშინაო შრომისა და ავტონომიური აქტივობების დიფერენცირებას და მათ განხორციელებას.

ლიტერატურის მიმოხილვა

ანდრე გორცი გამოყოფს შრომის სამ განსხვავებულ ტიპს. პირველ კატეგორიას წარმოადგენს სამუშაო ეკონომიკური რეზულტატებით. ამგვარი სამუშაოს შესრულებაში პრინციპული მიზანი არის ანაზღაურების მიღება, პირველ რიგში, არსებობისთვის და შემდგომ კეთილდღეობის რეალიზებისთვის. რაც შეეხება მეორე კატეგორიას, საშინაო შრომას, ის სრულდება არა ეკონომიკური რესურსის გაცვლის მიზნით, არამედ კონკრეტული ბენეფიციარებისთვის, რომლებიც, როგორც წესი, შინამეურნეობის წევრები არიან. გორცი ამგვარი შრომის მაგალითებად ასახელებს ყოველდღიური საჭიროებების შესრულებას - სახლის დალაგებას, საჭმლის მომზადებას, ბავშვების გაზრდას, ოჯახის სხვა წევრების მოვლას და მათ შორის, რეპროდუქციულ შრომასაც კი, რომელშიც ბავშვების გაჩენას მოიაზრებს. ბევრი აქტივისტი, მათ შორის ბევრი ქალი, მიიჩნევს, რომ შინ შრომა ანაზღაურებადი უნდა იყოს, თუმცა გორცის აზრით, ეს არ შეუწყობს ხელს საშინაო შრომის ოჯახის წევრებზე თანაბრად განაწილებას და უფრო მეტიც, გამოიწვევს ქალების დაქირავებულ მოსამსახურეებად გადაქცევას. ანაზღაურების ფაქტორის შემოტანა საშინაო შრომას გადააქცევს სოციალურად სასურველ სამუშაოდ, მაშინ, როცა ამგვარი შრომის მიზანი პერსონალური კმაყოფილების მიღწევაა. გორცის აზრით, შრომის ეს კატეგორია თავისუფალი უნდა იყოს სოციალური კონტროლისგან, ხოლო ანაზღაურებადობა შინ შრომას სწორედ რომ სოციალურ კონტროლს დაუქვემდებარებს (Gorz, 1999). ამ მოსაზრებას ჰყავს კრიტიკოსებიც. მაგალითად, სილვია ფედერიჩი მიიჩნევს, რომ თუ საშინაო შრომა გახდება ანაზღაურებადი, მაშინ ის ქალებისთვის არ იქნება ექსკლუზიურად დამახასიათებელი და ეს აქტივობები გადანაწილდება მამაკაცებზეც (Federici, 1975). მესამე კატეგორიას წარმოადგენს ავტონომიური

აქტივობები, რომლებსაც ადამიანები განახორციელებენ თავისუფალი დროის ქონისა და ნებისამებრ. ეს აქტივობები უკავშირდება პირადი კმაყოფილებისა და ბედნიერების მიღებას და შეიძლება იყოს განსხვავებული თავისი შინაარსით. მსგავსი ტიპის აქტივობები შეიძლება იყოს ხელოვნებასთან, მეცნიერებასთან, ფილოსოფიასთან, განათლებასთან, დასვენებასთან დაკავშირებული. ბავშვების აღზრდა და საშინაო საქმეები, გორცის აზრით, აგრეთვე შეიძლება, მიეკუთვნებოდეს ავტონომიური აქტივობების კატეგორიას, თუმცა ეს დამოკიდებულია იმაზე, აქტორები მარტო ასრულებენ ამ საქმიანობებს თუ სხვებთან ერთად და დროის სიმცირეს განიცდიან თუ არა (Gorz, 1999).

ფედერიჩი მიიჩნევს, რომ ინდუსტრიული კაპიტალიზმის პირობებში ყველა მომუშავე ექსპლუატირებულია; თუმცა შინ შრომაში ჩართული ქალები, ამ თავლსაზრისით, უფრო არასახარბიელო პოზიციაში არიან, რადგან მათი შრომა არ ანაზღაურდება და არ შეუძლიათ სამუშაო პირობების გაუმჯობესებისთვის ბრძოლა (Federici, 1975). შინ შრომის პრაქტიკა ექსკლუზიურად ქალებს მიეწერებათ და მისი განმახორციელებლებიც ყველა საზოგადობაში, უმეტესად, ქალები არიან. ამ თავლსაზრისით არც საქართველოა გამონაკლისი. საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სააგენტომ, გაეროს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით, ჩაატარა დროის გამოყენების კვლევა, რომლის მიხედვითაც, არაანაზღაურებადი საოჯახო შრომის შემთხვევაში ქალებსა და კაცებს შორის შეინიშნება საკმაოდ დიდი განსხვავება, კერძოდ ქალები 4.9-ჯერ მეტ დროს ხარჯავენ კაცებთან შედარებით ამ ტიპის აქტივობებზე. თუმცა, განსხვავებული ვითარებაა დასაქმებასთან დაკავშირებული აქტივობების შემთხვევაში, რადგან კაცების მიერ დახარჯული დრო, საშუალოდ, 1.9-ჯერ მეტია ქალების ამავე მაჩვენებელთან შედარებით. რაც შეეხება უშუალოდ ბავშვებზე ზრუნვას, ამ პროცესში ჩართულია საქართველოში მცხოვრები დედების 80.2%, ხოლო ეს მაჩვენებელი მამების ანალოგიურ მაჩვენებელს, რომელიც 37.6%-ს შეადგენს, 2.1-ჯერ აღემატება. აღსანიშნავია, რომ ბავშვებზე ზრუნვის პროცესში დედები, საშუალოდ, 20.4 საათს ხარჯავენ, ხოლო მამები 3.9 საათს (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2022). როგორც კვლევიდან ,,კაცები და გენდერული ურთიერთობები საქართველოში'' იკვეთება, მამები ძირითადად ბავშვების გართობას/მათთან საუბარს იღებენ საკუთარ თავზე. მაგალითად, 0-6 წლის ბავშვთა ასაკობრივ კატეგორიაში 18%-ს არ აღემატება იმ მამების ხვედრითი წილი, რომლებიც ბავშვს ყოველდღიურად უმზადებენ საჭმელს, უცვლიან/უმზადებენ ტანსაცმელს, დაჰყავთ ბაღში/სკოლაში, უკითხავენ წიგნებს და სხვა. 7-12 წლის ბავშვთა კატეგორიაში მამების მხრიდან მსგავსი პრაქტიკების განხორციელება იკლებს 7%-მდე, ხოლო 13-18 წლის კატეგორაში - 4%-ს არ აღემატება (ISSA, 2014).

აღსანიშნავია, რომ დროის გადანაწილება ასევე განსხვავებულია ქალებსა და კაცებს შორის თავისუფალი დროის განკარგვის თვალსაზრისით. ამას კი, თავის მხრივ, საქართველოში არსებული სტერეოტიპული ხედვები უმაგრებს ზურგს. ქალების მიმართ განსაკუთრებული მოლოდინები არსებობს, მაგალითად, კაცს შეუძლია, რომ შაბათ-კვირას მეგობრები მოინახულოს, მაგრამ ქალის შემთხვევაში, თუ ბავშვებს სჭირდებათ მოვლა ან სახლის საქმეებია შესასრულებელი, მაშინ რეკრეაციული აქტივობების განხორციელება მიუღებელი ხდება საზოგადოების მხრიდან წნეხის გამო, რაც ქალებში იწვევს სინდისის ქენჯნას. აგრეთვე, დედა მიჩნეულია იმ პიროვნებად, რომელმაც ყველა აქტივობის განხორციელება უნდა მოასწროს. შესაბამისად, ის აღიქმება ადამიანად, რომელსაც თავისუფალი დრო არ სჭირდება (ჭელიძე, 2017).

მეთოდოლოგია

კვლევის მიზანია თბილისში მცხოვრები ქორწინებაში მყოფი უმუშევარი დედების ცხოვრების წესის შესწავლა შინ შრომისა და ავტონომიური აქტივობების განხორციელების თავისებურების მაგალითზე.

აღნიშნული მიზნის შესაბამისად, დავსახეთ შემდეგი ამოცანები:

შევისწავლოთ ქორწინებაში მყოფი უმუშევარი დედების ჩართულობა საოჯახო/საყოფაცხოვრებო საქმიანობებში;

შევისწავლოთ ქორწინებაში მყოფი უმუშევარი დედების მიერ თავისუფალი დროის განკარგვა.

როგორც ზემოთ აღინიშნა, სასოფლო დასახლებებში, ქორწინებაში მყოფი უმუშევარი დედების ცხოვრებაში შინ შრომა და ავტონომიური აქტივობები არ არის დიფერენცირებული, რაც იმას გულისხმობს, რომ მათი ყოველდღიურობა იმდენად მოცულია საშინაო საქმეებით, რომ თავისუფალი დროის ათვისება ძირითადად სახლის სივრცეშივე ხდება (შალვაშვილი, 2022). ჩვენი ჰიპოთეზის თანახმად, მიუხედავად იმისა, რომ ურბანულ სივრცეებში და, განსაკუთრებით, დედაქალაქში ავტონომიური აქტივობების განხორციელების მრავალი შესაძლებლობა არსებობს, მოსალოდნელია, რომ თბილისში მცხოვრები უმუშევარი დედების შემთხვევაშიც, ძირითადად, მაინც სახლის სივრცეში ხდება თავისუფალი დროის ათვისება, შინ შრომის თვალსაზრისით დიდი დატვირთვის გამო.

საკითხის სიღრმისეულად შესწავლის მიზნით, თვისებრივი კვლევის მეთოდები ავირჩიეთ. კვლევის სამიზნე ჯგუფად შეირჩნენ ქორწინებაში მყოფი უმუშევარი დედები, რომელთაც ჰყავთ არასრულწლოვანი შვილები (18 წლამდე). მონაწილეები შეირჩნენ თოვლის გუნდის მეთოდით, მკვლევრების სანაცნობო წრის გამოყენებით, საიდანაც ავტორები პირადად დაუკავშირდნენ რამდენიმე მონაწილეს, რომლებმაც მკლევრები შემდგომ სხვა რესპონდენტებთან დააკავშირეს. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 10-მა თბილისში მცხოვრებმა უმუშევარმა დედამ.

საკვლევი საკითხიდან გამომდინარე, რელევანტურია ბიოგრაფიულ-ნარატიული ინტერვიუირების გამოყენება მონაწილეთა შესახებ ინფორმაციის მოსაპოვებლად, ვინაიდან იგი გულისხმობს იმ გარემო ფაქტორების შესწავლას, რომლებიც მოქმედებენ სამიზნე ჯგუფის გამოცდილებებზე, ცხოვრების სტილზე და სხვა. ინტერვიუების ჩატარების შემდეგ შეიქმნა მათი ტრანსკრიპტები, ხოლო კვლევის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის დამუშავება მოხდა თვისებრივი კონტენტანალიზით, კერძოდ, გამოვიყენეთ თემატური და სტრუქტურული ანალიზის ნაირსახეობები, რომლებიც ,,ტექსტის დეტალურ და სისტემატურ ანალიზსა და ინტერპრეტაციას ახდენს კონკრეტული შინაარსის, თემების თუ ტენდენციების გამოსავლენად'' (წულაძე, 2020).

ქორწინებაში მყოფი უმუშევარი დედების ჩართულობა საოჯახო/საყოფაცხოვრებო საქმიანობებში

შინ შრომის აღქმა

როგორც აღმოჩნდა, ქორწინებაში მყოფი უმუშევარი დედების მიერ შინ შრომის ფენომენის აღქმა ერთგვაროვანია. რესპონდენტები შინ შრომად მიიჩნევენ იმგვარი აქტივობების/საქმიანობების განხორციელებას, როგორებიცაა სახლის დალაგება, დარეცხვა, სადილის მომზადება და ბავშვის მოვლა. მონაწილეები საკუთარი გამოცდილების შეფასებისას ერთსულოვანნი აღმოჩნდნენ. როგორც თითოეულმა მათგანმა აღნიშნა, შინ შრომა ძალიან რთულ, შრომატევად და დამღლელ საქმიანობად მიაჩნიათ, რომელიც მოითხოვს როგორც ფიზიკურ, ისე გონებრივ ძალისხმევას და ის, ანაზღაურებადი

სამსახურისგან განსხვავებით, არ მოიცავს დასვენებისა და ხელფასის კომპონენტებს. თუმცა, მონაწილეთა უმრავლესობა, ამგვარი შეფასების მიუხედავად, ამბობს, რომ ამ ყველაფერს დიდი სიყვარულით და ენთუზიაზმით აკეთებს:

,,მინდა გითხრათ, რომ საშინაო საქმე ყველაზე რთული საქმეა და მოიცავს როგორც გონებრივ, ისე ფიზიკურ შრომას. დედა სახლში არის საშინაო საქმეების გამკეთებელიც, არის მენეჯერი, არის ექიმი და ძალიან მრავალმხრივია ეს შრომა და მართლა ძალიან რთულია. თითქმის 24 საათს მოიცავს და ვამბობ ხოლმე, რომ ეს არის საქმე, როდესაც არ გაქვს შვებულება, არ გაქვს პრემია, არ გაქვს ხელფასი და აი, ამ ყველაფერს, რა თქმა უნდა, ენთუზიაზმით და სიყვარულით აკეთებ, მაგრამ მართლა ძალიან შრომატევადია და მართლა ძალიან რთულია.'' (ქალი, 41 წლის, შვილები - 12 და 9 წლის)

ქალსა და კაცს შორის საოჯახო საქმიანობების განაწილების აღქმა

ქალსა და კაცს შორის საოჯახო საქმიანობების განაწილების აღქმის თვალსაზრისით და მონაწილეთა გამოცდილებიდან გამომდინარე, შეგვიძლია, რომ გამოვყოთ შემდეგი ძირითადი ტენდენციები:

ყველა მონაწილე მიიჩნევს, რომ მამაკაცები ჩართულნი უნდა იყვნენ საოჯახო საქმეებში, თუმცა ზოგიერთის აზრით, არსებობს უფრო მეტად ქალური საქმეები, რომლებიც თავად უნდა განახორციელონ და არა კაცებმა. ჭურჭლის დარეცხვა, სადილის მომზადება, ბავშვის გამოკვება, ბავშვის ხელში დაჭერა და დაწყნარება, გასეირნება, პროდუქტების მოტანა, ბავშვების სხვადასხვა წრეზე წაყვანა, ისეთი აქტივობებია, რომლებსაც მათი მეუღლეებიც ასრულებენ. თუმცა, არსებობს გარკვეული საქმიანობები, მაგალითად, იატაკის დასუფთავება და მტვრის წმენდა, რომლებიც კაცებმა არ უნდა შეასრულონ, ზოგიერთი მონაწილის აზრით:

,,სახლის გამოხვეტა და ასე შემდეგ, ამას მე ვაკეთებ, რადგან ასე მგონია, რომ ცოცხი ან მტვერსასრუტი, რაღაც მაინც ჩემი საქმე არის და არც ვთხოვ [მეუღლეს] და ასე შემდეგ. ჭურჭელი შეიძლება, რომ თვითონ აიღოს და დარეცხოს და ესეთ რაღაცეებს ნუ თვითონ აკეთებს.'' (ქალი, 25 წლის, შვილი - 15 თვის)

ქალები თავად ახდენენ გავრცელებული გენდერული სტერეოტიპების კვლავწარმოებას, რადგან თავადვე მიუთითებენ უფრო ქალურ საქმეებზე, რომელშიც კაცი ვერ ჩაერთვება.

იმ პერიოდშიც კი, როდესაც ბავშვებს სძინავთ, ოჯახის სხვა წევრთან ატარებენ დროს, ბაღში ან სკოლაში არიან, უმუშევარი დედები დიდ დროს ხარჯავენ ისეთი საოჯახო საქმიანობის შესრულებაზე, როგორებიცაა სახლის დალაგება, კონკრეტულად, იატაკის, ხალიჩების დასუფთავება, მტვრის გადაწმენდა, არეული ნივთების დალაგება, სარეცხის დარეცხვა, გაფენა, დაუთოვება, ოჯახის სხვა წევრებისთვის სადილის მომზადება და ა.შ:

,,რაღაც პერიოდი ვიყავი რობოტივით იმიტომ, რომ ძალიან გაგიჟებული ვიყავი სახლის დალაგებაზე, მინდოდა, ყველაფერი წესრიგში მქონოდა და წარმოიდგინე, ისეთი დაღლილი ვიყავი ფიზიკურად, ბავშვს დააძინებ, რომელსაც ისედაც ძაან ცოტა ხანი სძინავს (ერთი საათი და მაქსიმუმ საათ-ნახევარი) და მერე შენ ეს პერიოდი რომ რაღაცას აკეთებ სახლში და მერე ბავშვი რომ იღვიძებს, თვითონ ყველანაირი ენერგია აღდგენილი აქვს და შენ არაფრის თავი არ გაქვს'' (ქალი, 24 წლის, შვილი - 2 წლის და 8 თვის)

გამოიკვეთა ტენდენცია, რომ კაცები, რომლებიც მუდმივად მუშაობენ, მართალია, თანაბრად ვერ ერთვებიან საოჯახო საქმიანობების განხორციელების პროცესში, თუმცა დროისა და შესაძლებლობის ქონის შემთხვევაში, გარკვეულ საშინაო საქმიანობებს ასრულებენ. მონაწილეები ისურვებდნენ, რომ მათი მეუღლეები თანაბრად ინაწილებდნენ შინ შრომასთან დაკავშირებულ პასუხისმგებლობებს, თუმცა, მიუხედავად ამისა, ამ მცირედ ჩართულობასაც ისინი აფასებენ, როგორც მხარდაჭერას და დახმარებას. შესაბამისად, ეს ის შემთხვევაა, როცა ქალი ყველაფრით მადლიერია, რადგან მცირე დახმარებაც კაცის მხრიდან უკვე სტერეოტიპული ქცევიდან გადახვევა და მისასალმებელი ქმედებაა.

ოჯახის სხვა წევრების ჩართულობა (მეუღლის გარდა) შინ შრომასა და ბავშვის მოვლაში

როგორც გამოიკვეთა, ის უმუშევარი დედები, რომლებიც ცხოვრობენ თავიანთ ან მეუღლის მშობლებთან ერთად, უფრო მეტ დახმარებას იღებენ მათი მხრიდან როგორც საოჯახო საქმეების განხორციელების, ასევე ბავშვების მოვლის პროცესში. მაგალითად, იმ სპეციფიკურ საქმიანობებს, რომლებიც უშუალოდ სახლის მოვლას/დასუფთავებას ეხება, მონაწილეებთან ერთად უფრო მეტად ასრულებენ დედამთილები/დედები, ხოლო მამამთილები/მამები თავის თავზე იღებენ ბავშვების გასეირნებას და გართობას. მართალია, ბავშვებზე ძირითადად კვლევის მონაწილეები ზრუნავენ, თუმცა, მათი თქმით, დიდი შეღავათია ის, რომ სახლიდან გასვლის საჭიროების ან სხვა საქმის ქონის შემთხვევაში, ჰყავთ ადამიანი, რომელიც ბავშვს დაიტოვებს.

 განსხვავებულია იმ მონაწილეების შემთხვევა, რომლებიც მეუღლეებთან ერთად ცალკე ცხოვრობენ. შესაბამისად, საშინაო საქმეების განხორციელება, უმეტესად, მათი პასუხისმგებლობაა. იგივე შეიძლება ითქვას ბავშვის მოვლასთან დაკავშირებითაც, რადგან ნაკლებად აქვთ შვილის დატოვების შესაძლებლობა, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ მათი დედები/დედამთილები, მამები/მამამთილები მუშაობენ ან სხვა რეგიონში ცხოვრობენ. ზოგიერთი რესპონდენტი ამბობს, რომ განსაკუთრებით უჭირს ბავშვების დატოვება თავისი ოჯახის წევრებთან, რომლებიც მასთან ერთად არ ცხოვრობენ, რადგან მათ მიაჩნიათ, რომ დედა მუდმივად თავის შვილთან ერთად უნდა იყოს:

,,პრობლემა არის ადამიანების დამოკიდებულებაში. დედაჩემს ვუტოვებ ხოლმე იშვიათ შემთხვევებში და მე თუ ვიტყვი, რომ გასვლა მინდა, რად გინდა გასვლა და ეგეთი დამოკიდებულება აქვთ, იმდენად შეეჩვია ხალხი, რო მე ვარ სულ სახლში და სულ ბავშვთან ერთად. მგონი, ვეღარავის ვეღარ წარმოუდგენია, რომ შეიძლება მეც მჭირდებოდეს ჩემი თავისთვის დრო.'' (ქალი, 24 წლის, შვილი - 2 წლის და 8 თვის)

შესაბამისად, დედებს, რომლებიც ნუკლეარულ ოჯახებში ცხოვრობენ, შინ შრომის აქტივობები უფრო მეტად აქვთ აღებული საკუთარ თავზე, ვიდრე დედებს, რომლებიც გაფართოებულ ოჯახებში ცხოვრობენ. თუმცა, ეს უკანაკნელნი, სახლის საქმეებში ოჯახის სხვა წევრის/წევრების ჩართულობის შემთხვევაშიც კი, არ არიან თავისუფალნი საოჯახო საქმიანობების განხორცილებისგან.

ყოველდღიური განრიგი და მასზე მოქმედი ფაქტორები

გამოიკვეთა ტენდენცია, რომ მონაწილეები წინასწარ ადგენენ თავიანთი დღის გეგმას და მათი განრიგი ძირითადად ბავშვებთანაა დაკავშირებული. ისინი მიიჩნევენ, რომ გეგმა ეხმარებათ

ორგანიზებულობაში, ასე უფრო ბევრ აქტივობას ასწრებენ და ზოგჯერ, თავისუფალი დროც მეტი რჩებათ. ამავდროულად, მონაწილეთა დღის განრიგზე მოქმედებს ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა, მაგალითად, მათი მეუღლე ან ოჯახის სხვა წევრები იმ დღეს მუშაობენ თუ არა (ეს გავლენას ახდენს იმაზე, თუ რამდენად ჰყავთ ბავშვის დამტოვებელი ან რამდენად შეძლებს ვინმე საოჯახო საქმეებში დახმარებას), ასევე ამინდის პროგნოზი (ეს გავლენას ახდენს იმაზე, თუ სად უნდა გაასეირნონ ბავშვები) და კვირის დღე (მაგალითად, ზოგიერთი მონაწილე შაბათ-კვირას სახლის კონკრეტულ საქმეებს არ აკეთებს დასვენების მიზნით და ასევე, თავის შვილებთან და მეუღლესთან ერთად ცდილობს თავისუფალი დროის გატარებას):

,,სამუშაო დღეებში, ძირითადად, ერთი და იგივე გრაფიკი გვაქვს. დილით სკოლა, შემდეგ მეცადინეობა და საღამოს წრეები, საჭმელი და დალაგება თავისთავად და, მაგალითად, შაბათ-კვირას აბსოლუტურად სხვა გრაფიკი მაქვს. შაბათ-კვირას სადილს არ ვამზადებ, რადგან მეც მჭირდება ყოველკვირეული რუტინისგან დასვენება, უფრო თავისუფალი კვების რეჟიმზე ვართ და, რა თქმა უნდა, აქტივობაც სხვა არის. ვცდილობთ, რომ ერთი დღე მაინც იყოს ისეთი, რომ ერთობლივად დავგეგმოთ და სადმე წავიდეთ'' (ქალი, 35 წლის, შვილები - 10 და 13 წლის)

გამოიკვეთა ტენდენცია, რომ ის დედები, ვისაც ყავს სამ წლამდე შვილი/შვილები პრიორიტეტულ აქტივობებად აღიარებენ ბავშვთან დაკავშირებულ ნებისმიერ საქმიანობას. ესენია, ბავშვის დაბანა, დაძინება, კვება, გასეირნება, თამაში და ასე შემდეგ. ხოლო, ვისი შვილებიც ბაღში ან სკოლაში დადიან, მათი დრო, ძირითადად, სახლის საქმეებში იხარჯება.

საოჯახო ბიუჯეტის განკარგვა

ძირითად შემთხვევაში, გაფართოებულ ოჯახებში, სადაც რამდენიმე ადამიანს აქვს პირადი შემოსავალი, კვლევის მონაწილეები ნაკლებად ერევიან საოჯახო ბიუჯეტის განკარგვაში. ასეთ მონაწილეებს აქვთ თანხა, რომლითაც, ძირითადად, მეუღლეებისგან არიან უზრუნველყოფილნი და ამ ფულს ხარჯავენ თავიანთი და ბავშვების საჭიროებებისთვის:

,,თუ ჩვენი სურვილით გვინდა რამის ყიდვა, შეგვიძლია წავიდეთ და ვიყიდოთ, თორემ, როგორც ასეთი, კომუნალურებს ჩვენ არ ვიხდით, დედამთილი და მამამთილი იხდიან, ანუ ეგეც ჩამოშორებული გვაქვს. რაც შეეხება პროდუქტებს, ჩემი დედამთილი მიდის ხოლმე ბაზარში და მოაქვს ყველაფერი. ისე, რომ ვალდებულებასავით მქონდეს ყოველდღე ან საფიქრალი, თუ როგორ გადავანაწილო ფული ხარჯებზე, ასე ნამდვილად არ არის'' (ქალი, 25 წლის, შვილი - 15 თვის)

იმ მონაწილეთა მეუღლეები, რომლებიც მთელი დღის განმავლობაში დაკავებულნი არიან (ზეგანაკვეთურად მუშაობენ), ნაკლებად ახერხებენ, რომ გადაანაწილონ ფინანსები და ამის მიხედვით განახორციელონ კონკრეტული აქტივობები, მაგალითად, პროდუქტების მოტანა, კომუნალური გადასახედების გადახდა და სხვა. ასეთ ვითარებაში, ძირითადად, ეს პასუხისმგებლობა ეკისრებათ მონაწილეებს და ისინი ანაწილებენ თანხას ყოველთვიური ხარჯებისთვის. რაც შეეხება იმ მონაწილეების მეუღლეებს, რომლებიც ნორმირებული სამუშაო გრაფიკით მუშაობენ (საღამოს საათებში შინ არიან), თანაბრად ერთვებიან ფინანსებთან დაკავშირებით პასუხისმგებლობების განაწილებაში:

,,ჩემი მეუღლე არის ოჯახში შემომტანი [...] ავტომატურად მერიცხება მე მეუღლის ხელფასი მისი გადაწყვეტილებით. მერე რაღაცეებს ვათანხმებთ, მაგრამ მაინც ვიტყოდი, რომ მაგის დროც არა აქვს, რომ ეს საკითხები დააორგანიზოს'' (ქალი, 20 წლის, შვილი - 1 წლის)

დედები, რომლებიც ნუკლეარულ ოჯახებში ცხოვრობენ, უფრო მეტად არიან ჩართულნი საოჯახო ბიუჯეტის განაწილებაში და ზოგიერთ შემთხვევაში მხოლოდ თვითონ იღებენ საკუთარ თავზე ფინანსების განაწილების პასუხისმგებლობას, განსხვავებით მათგან, ვინც გაფართოებულ ოჯახში ცხოვრობს. ამ შემთხვევაში, ბიუჯეტის განმკარგველად, ძირითადად, გვევლინებიან მეუღლეები, მამამთილები, დედამთილები და ასე შემდეგ.

ყოველდღიური აქტივობები შვილებზე ზრუნვის პროცესში

ბავშვზე ზრუნვის პროცესში დედების მიერ განხორციელებული ყოველდღიური აქტივობები განსხვავდება ბავშვის ასაკის მიხედვით. მაგალითად, 3 წლამდე ბავშვების შემთხვევაში, დედებისთვის ყოველდღიურად უპირატესია ისეთი აქტივობების განხორციელება, როგორებიცაა კვება და რაციონის შედგენა, გარეთ გასეირნება, სხვადასხვა გასართობი და შემეცნებითი თამაშის შეთავაზება. დედები ცდილობენ, რომ ამ ასაკში შვილებს ნაკლები შეხება ჰქონდეთ ეკრანთან (ტელეფონი, კომპიუტერი, აიპადი, ტელევიზორი). ამისათვის ისინი აწესებენ გაჯეტების გამოყენების ლიმიტს და განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ ბავშვების გასეირნებას იმისათვის, რომ შვილებს შესთავაზონ ალტერნატიული, მათთვის სახალისო აქტივობები.

,,სეირნობის შემდეგ ყველაზე დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ კვებას იმიტომ, რომ გარეთ რომ გავდივართ, წასახემსებელი იქაც მიგვაქვს. ვაკონტროლებ, სანამ შემიძლია მის რაციონს [...] ასევე, ვცდილობ, მოვძებნო სახლის პირობებში, რაც შეგვიძლია გავაკეთოთ... რაღაც განმავითარებელ სათამაშოებს [ვთავაზობ], რაც დაეხმარება, თუნდაც შთაბეჭდილებას მოახდენს მასზე.'' (ქალი, 24 წლის, შვილი - 2 წლის და 8 თვის)

ის დედები, რომელთა შვილებიც საბავშვო ბაღში დადიან, ცდილობენ, რომ ბავშვებთან ერთად საღამოს საათებში მაქსიმალურად ბევრი დრო გაატარონ, შესთავაზონ სხვადასხვა საინტერესო აქტივობა. რაც შეეხება სკოლის მოსწავლეებს, ძირითადად, დედები ყურადღებას აქცევენ ჯანსაღ კვებას, საშიანო დავალებების შესრულებას, ოთახის დალაგებას, რომელშიც შვილებსაც რთავენ, რათა მეტად ორგანიზებულები იყვნენ, შაბათ-კვირას კი, გასართობ აქტივობებს სთავაზობენ. აგრეთვე, დედებისთვის მნიშვნელოვანია შვილებთან ინტერაქცია მათთვის საინტერესო თემებზე.

,,შვილებზე ზრუნვის პროცესში, რა თქმა უნდა, მათ მუდმივად ვუმზადებ საჭმელს, ვულაგებ ოთახს და ვუწესრიგებ ნივთებს, ამ პროცესში თავადაც არიან უკვე ჩართულები, რადგან მინდა, რომ წესრიგს შეეჩვიონ. ასევე, აუცილებლად, ვინტერესდები გაკვეთილებით[...] ასევე, ვცდილობ, რომ ვესაუბრო სხვადასხვა საკითხზე და მივაწოდო მეტი ინფორმაცია იმ თემებზე, რაც მათ აინტერესებთ.'' (ქალი, 43 წლის, შვილები- 11 წლის, 14 წლის, 7 წლის)

ქორწინებაში მყოფი უმუშევარი დედების მიერ თავისუფალი დროის განკარგვა

თავისუფალი დროის აღქმისა და გამოყენების თავისებურებები

კვლევის ყველა მონაწილე მიიჩნევს, რომ დედებს უნდა გააჩნდეთ თავისუფალი დრო, რომელსაც საკუთარი სურვილისამებრ გამოიყენებენ. მათი აზრით, ეს მნიშვნელოვანია განტვირთვისთვის, საკუთარი თავის მოვლისთვის, განვითარებისთვის, თვიშეფასებისთვის და, ზოგადად, ყოველდღიური რუტინისგან დასვენებისთვის. როგორც აღმოჩნდა, იმ დედებისთვის, რომელთაც 3 წლამდე შვილები ჰყავთ, უფრო რთულია თავისუფალი დროის გამოყოფა. განსაკუთრებით ეს სირთულეს მაშინ წარმოადგენს, როცა დედას არ ჰყავს დამხმარეები ოჯახის სხვა წევრების ან ძიძის სახით. იმ შემთხვევაშიც კი, როცა დედებს ბაღის ან სკოლის მოსწავლე შვილები ჰყავთ, მართალია, თავისუფალი დრო შედარებით მეტი აქვთ, თუმცა ისინი ამ დროის ათვისებას ძირითადად სახლში ახდენენ. სახლის პირობებში დედები ძირითადად ისეთ აქტივობებს ახორციელებენ, როგორებიცაა წიგნის კითხვა, ფილმების/სერიალების ყურება, სოციალური ქსელის გამოყენება, დაძინება, სტუმრის მიღება და სხვა.

,,უმეტესწილად, სახლის სივრცეში ვიყენებ თავისუფალ დროს. რა თქმა უნდა, გავდივარ მეგობრებთან შესახვედრად, სასეირნოდ, მაგრამ, უმეტესწილად, სახლის სივრცეში. ბავშვების გრაფიკიდან გამომდინარე მიწევს, რომ სახლში დავყო დრო და ამიტომაც, დასვენების დროსაც სახლში ვარ.'' (ქალი, 41 წლის, შვილები - 12 და 9 წლის)

გამოიკვეთა ტენდენცია, რომ მონაწილეთა ნაწილი ხშირად - ვერ, მაგრამ გარკვეული პერიოდულობით ახერხებს სახლის გარეთ დროის გატარებას და მისთვის სასიამოვნო აქტივობების განხორციელებას, მაგალითად, საყიდლებზე სიარულს, მეუღლესთან ერთად გასეირნებას, სალონში წასვლას, მეგობრებთან შეხვედრას და ა.შ. თუმცა, დედების ნაწილი სახლიდან გასვლის შემთხვევაშიც კი, ვერ ახერხებს თავისუფალი დროის სურვილისამებრ ათვისებას, რადგან, როგორც წესი, ისინი ამ დროსაც ბავშვის მოვლასა და ყურადღების მიქცევაზე არიან ორიენტირებულნი.

გამოიკვეთა ისეთი შემთხვევებიც, როდესაც დედები თავისუფალი დროის ათვისებას შვილების გარეშე არ ისურვებენ, რადგან ამ დროს შფოთვას განიცდიან, ღელავენ შვილზე/შვილებზე. დედები ამ ფაქტს ხსნიან შვილებზე მიჯაჭვულობით, რის გამოც უჭირთ მათთან განშორება. თავის მხრივ, ამგვარი გამოცდილების მქონე დედების შვილებიც არ არიან მიჩვეულნი დედისაგან მოშორებით ყოფნას. მონაწილეთა ამგვარ კატეგორიას ურთულდება, მაგალითად, ბავშვის ბაღში ტარება. ამის ფონზე კი, ბავშვებისთვის ხშირად საინტერესო აღარ არის სახლში და გარეთაც (პარკში, სკვერში) განხორციელებული აქტივობები. ამის გარდა, ამ ბავშვებს უჭირთ უცხო ადამიანებთან შეხვედრა, რაც, მაგალითად, გამოიხატება სტუმრების მიღების შემთხვევაში ჭირვეულობის გამომჟღავნებით:

,,იმდენად მიჯაჭვული ვარ ჩემს შვილზე, რომ ვერ ვიღებ ვერანაირ სიამოვნებას, როცა მარტო ვარ. აი, ორი საათის განმავლობაში რომ გავსულვართ მე და ჩემი მეუღლე და ბავშვი ყოფილა დედაჩემთან, ერთი ოთხჯერ დამირეკია. მოკლედ, შფოთვა მაქვს რა, როცა ბავშვს ვტოვებ.'' (ქალი, 24 წლის, შვილი- 2 წლის და 8 თვის)

აღმოჩნდა, რომ მონაწილეები ვერ ახერხებენ, დღის კონკრეტული მონაკვეთი დაგეგმილად გამოყონ საკუთარ თავისუფალ დროდ. დედების მიერ თავისუფალი დროის ქონა და გამოყენება ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული. ძირითადად, ზემოაღნიშნულის ფორმირება შვილების რეჟიმიდან და საოჯახო საქმეებიდან გამომდინარე ხდება.

აგრეთვე, ის თუ, როგორ და ვისთან ერთად იყენებენ დედები საკუთარ თავისუფალ დროს, დამოკიდებულია თავისუფალი დროის ხანგრძლივობაზე. მაგალითად, თუ 1 საათამდე უქმე დრო გამოუჩნდათ, მარტო განტვირთვას, ხოლო 2 საათზე მეტი თუ აქვთ, გარეთ გასვლას, მეგობრებთან ან ოჯახის წევრებთან გასერინებას ამჯობინებენ.

დედების ნაწილი ახლანდელ თავისუფალ დროს ადარებს იმ მოცემულობას, როცა შვილი/შვილები არ ჰყავდათ. ამიტომაც ფიქრობენ, რომ თავისუფალი დრო პრაქტიკულად არ გააჩნიათ და მათთვის სასიამოვნო აქტივობებს ვეღარ ახორციელებენ.

დედების დამოკიდებულება დასაქმების მიმართ

გამოიკვეთა ტენდენცია, რომ დედები, რომელთაც ჰყავთ დამხმარე ბავშვზე ზრუნვის თვალსაზრისით, სურთ და ფიქრობენ კიდეც ახლო მომავალში დასაქმებაზე, განსაკუთრებით კი ისეთი დედები, რომლებსაც ოჯახის წევრები ამ საკითხში მხარს უჭერენ. ზოგიერთმა მონაწილემ გამოამჟღავნა დასაქმების სურვილი, თუმცა ამ ეტაპზე მიიჩნევს, რომ მისი შვილები, ასაკიდან გამომდინარე, არ არიან დამოუკიდებლები და სამუშაო დღის ბოლომდე მათ მარტო ვერ დატოვებს, თუმცა ფიქრობს, რომ მომავალში თავისი პროფესიით კვლავ დასაქმდება.

გამოიკვეთა ისეთი შემთხვევებიც, როდესაც მონაწილეებს არ სურთ დასაქმება, იმის მიუხედავად, რომ გარშემომყოფები ურჩევენ სამსახურის მოძიებას. ამის მიზეზებად ასახელებენ კომპლექსებს, რომლებიც მშობიარობის შემდგომ წონასთან დაკავშირებით წარმოიშვა, კარიერულ ჩამორჩენას, რესოციალიზაცასთან დაკავშირებულ მოსალოდნელ სირთულეებს და შვილზე მიჯაჭვულობას:

,,არ ვიცი, შეიძლება არაჯანსაღიც არის ეგ მიჯაჭვულობა ჩემი მხრიდან ბავშვზე, ისეთი ძლიერი მიჯაჭვულობაა, რომ ძალიან ძნელია სამსახურზე ფიქრი. არ ვიცი, როგორ გავივლი სოციალიზაციას ადამიანებთან, არც მიფიქრია. ჩემი მეგობარი ყოველთვის მაძალებს, შედი, ბაღის ასაკის არის უკვე ბავშვი და ვნახოთ ვაკანსიები, მაგრამ ჯერჯერობით ძალიან მეშინია და არ ვიცი, რამდენად შევძლებ იმიტომ, რომ კარიერულადაც რაღაცნაირად გავიყინე ამ ორი წლის განმავლობაში და არის რაღაცა კომპლექსებიც, ფსიქოლოგიური ფაქტორებიც, და მოკლედ, ჯერჯერობით ვერ წარმომიდგენია.'' (ქალი, 21 წლის, შვილი-2.5 წლის)

დასკვნა

კვლევის შედეგად, გამოიკვეთა, რომ სასოფლო დასახლებებში მცხოვრები ქორწინებაში მყოფი უმუშევარი დედების მსგავსად, ურბანულ დასახლებაშიც დედები, საოჯახო საქმეების სიმრავლისა და ბავშვებზე ზრუნვის გამო, თავისუფალ დროს ძირითადად სახლის სივრცეში ატარებენ. შესაბამისად, უნდა ითქვას, რომ მოცემული კვლევის სამუშაო ჰიპოთეზა დადასტურდა.

ქალების აღქმა შინ შრომასთან დაკავშირებით ერთგვაროვანია, გამომდინარე იქედან, რომ მათი შეფასების მიხედვით, საოჯახო საქმიანობა იმაზე უფრო მეტად რთული, შრომატევადი და დამღლელია, ვიდრე ანაზღაურებადი სამსახური. შესაბამისად, ქალები ისურვებდნენ, რომ მათი მეუღლეები თანაბრად ჩართულნი იყვნენ საშინაო საქმეების განხორციელების პროცესში, თუმცა არსებობს შინ შრომის იმგვარი აქტივობები, რომლებიც ქალების მიერ აღქმულია, როგორც ,,ქალური

საქმიანობა''. პარადოქსულია, რომ მონაწილეებს სურთ შრომის თანაბრად განაწილება მამაკაცებთან, თუმცა, ამავდროულად, ექსკლუზიურად ქალურ საქმიანობებს გამოყოფენ, რაც ხელს უწყობს უთანასწორობის კვლავწარმოებას. თავის მხრივ, ამგვარი მიდგომა, განპირობებულია საზოგადოებაში არსებული სტერეოტიპული მოლოდინებით ოჯახში საქმიანობების განაწილების მიმართ.

შინ შრომისა და ბავშვებზე ზრუნვის განაწილებაზე, დედების დატვირთულობაზე და მათ შესაძლებლობაზე, სურვილისამებრ განკარგონ თავისუფალი დრო, აღმოჩნდა, რომ გავლენას ახდენს ის, ქალი გაფართოებულ ოჯახში ცხოვრობს თუ ნუკლეარულში. მოსალოდნელია, რომ გაფართოებულ ოჯახში დედებს უფრო მეტი დამხმარე ჰყავთ, შესაბამისად, ბავშვზე ზრუნვასთან და საოჯახო საქმეებთან დაკავშირებული პასუხისმგებლობის სრულად საკუთარ თავზე აღება არ უწევთ და ამიტომაც, თავისუფალი დროც შედარებით მეტი რჩებათ.

ბიბლიოგრაფია:

Federici, S. (1975). Wages Against Housework. Montpelier: the Power of Women Collective and the FaDing Wall Press .

GALLUP. (2012). Stay-at-Home Moms Report More Depression, Sadness, Anger. WASHINGTON, D.C: Gallup - Workplace Consulting & Global Research.

Gorz, A. (1999). Critique of Economic Reason: Summary for Trade Unionists and Other Left Activists. Basingstoke: Macmillan.

ISSA. (2014). კაცები და გენდერული ურთიერთობები საქართველოში. თბილისი: სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი.

United States Department of Labor . (2015). American Time Use Survey. Retrieved from U.S. BUREAU OF LABOR STATISTICS: https://www.bls.gov

გაეროს ქალთა ორგანიზაცია. (2018). ქალთა დაბალი ეკონომიკური აქტიურობა და არაფორმალურ სექტორში ჩართულობა საქართველოში. თბილისი: გაეროს ქალთა ორგანიზაცია.

გოგბერაშვილი, ა., & კარაპეტიანი, გ. (2019). ქალთა პრეაკრიული შრომა და დროის ურთიერთმიმართება საქართველოში. თბილისი: ჰაინრიჰ ბიოლის ფონდი.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. (2008). შინ შრომა. Retrieved from სამოქალაქო განათლების ლექსიკონი: http://www.nplg.gov.ge/

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2022). დროის გამოყენების გამოკვლევა 2020-2021. თბილისი: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

ფრეიზერი, ნ. (2017). ფემინიზმის თავგადასავალი: სახელმწიფოს მიერ მართული კაპიტალიზმიდან ნეოლიბერალურ კრიზისამდე. თბილისი: ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონული ბიურო.

შალვაშვილი, მ. (2022). ქალთა დასაქმება, შრომა და შინ შრომა. თბილისი: სოციალური სამართლიანობის ცენტრი .

წულაძე, ლ. (2003). სოციალიზაციის ზოგიერთი პრობლემა ქართული კულტურის კონტექსტში (ავტონომიურობა და სანქციები). თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

წულაძე, ლ. (2020). სოციოლოგიური კვლევის თვისებრივი მეთოდები. თბილისი: უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ჭელიძე, ნ. (2017). დედობის იდეალი,დედის დანაშაულის სინდრომი, ემოციური და ზრუნვის შრომის გადანაწილება დედასა და ძიძას შორის. თბილისი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.